ინოვაციების გავლენა ბიზნესსა და სოციალურ ეკონომიკაზე

ანზორ აბრალავა,
სტუ-ს სრული პროფესორი

ინოვაცია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ერთ-ერთი სპეციფიკური გამოვლინებაა. ტექნიკურ განახლებასთან ერთად იგი მოიცავს ორგანიზაციულ, მმართველობით და მარკეტინგულ ინოვაციებს, ახალ ბაზრებს, მომარაგების ახალ წყაროებს, ფინანსურ სიახლეებსა და რესურსების ახლებურად შეხამებას. ი. შუმპეტერი, როგორც ცნობილია, მკვეთრ ზღვარს ავლებს გამოგონებასა და ინოვაციას შორის, ანუ, ერთი მხრივ, ახალი პროდუქტისა თუ ტექნოლოგიის ორიგინალურ, თუნდაც დაპატენტებულ იდეასა და, მეორე მხრივ, კომერციული თვალსაზრისით განხორციელების პერსპექტივის მქონე სიახლედ მის გადაქცევას შორის.

ინოვაცია უშუალო კავშირშია როგორც ახალი იდეის გაჩენასთან და გამოგონებასთან, ისე იმ ბაზართან, სადაც გამოგონების საფუძველზე შექმნილი პროდუქტის ან თვით იდეის რეალიზება ხდება. საგულისხმოა, რომ თვითონ ახალი იდეა ან გამოგონება ჯერ კიდევ არაა ინოვაციური ანუ არ ეკუთვნის ინოვაციების წრეს, ვიდრე მას ბაზარი არ აღიარებს. მართლაც, ბაზრის განვითარების თანამედროვე პირობებში მეცნიერული იდეებისა და გამოგონებათა მხოლოდ 6-8%-ს აღიარებენ ხოლმე როგორც ინოვაციურს.

ინოვაციის ცნების შინაარსში კარგად გარკვევის მიზნით უნდა დავაკვირდეთ მისი წარმოშობისა და განვითარების პირობებს. ამის ყველაზე უფრო ზოგადი პირობაა რესურსების შეზღუდულობა მაშინ, როცა ფართოვდება მეურნეობრიობის მასშტაბები და მაღლდება კვლავწარმოების, ბაზრებისა და კონკურენციის განვითარების დონე. სწორედ რესურსების შეზღუდულობა და წარმოების მასშტაბების განვითარება განაპირობებს კონკურენციასა და ეკონომიკის სუბიექტთა შემოქმედებით აქტიურობას, რის ნაყოფადაც გვევლინება ახალი იდეები, ინოვაციური საქონლისა და მომსახურების წარმოების, მართვისა და რეალიზაციის ტექნოლოგიები, მეთოდები და მიდგომები.

ინოვაცია ორი ნაწილისგან შემდგარ მთლიანობად უნდა განვიხილოთ:

1. ნოვაციები და ნოვატორობა;
2. ის კონკრეტული სიახლეები, რომლებიც ბაზარმა უნდა აღიაროს.

თუ პირველი ნაწილი არ არსებობს, ინოვაცია საერთოდ ვერ შედგება, ხოლო თუ პროდუქტი ან იდეა ბაზარმა არ აღიარა, ისინი საზოგადოებისთვის უსარგებლო რამედ დარჩება, ასე ვთქვათ, „თავისთვის".

ინოვაციური განვითარების თანმიმდევრობა სქემის სახით ამგვარად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

- ნოვაცია ნიშნავს იდეის, პროდუქტის, ტექნოლოგიის, პროცესის და ა.შ. სიახლეს. იგი ნოვატორობად გარდაიქმნება ნოვატორთა საქმიანობის მეშვეობით, რომლებიც ადამიანთა შემოქმედებით საქმიანობას ნოვაციად გარდასახავენ. ნოვაცია და ნოვატორობა ჯერ კიდევ არაა ბაზართან კავშირში, რის გამოც სიახლეებს მოხვეჭილი არა აქვთ მომხმარებელთა აღიარება.
- განვითარების მომდევნო ნაბიჯია ინოვაცია, რომელიც სიახლის შემოტანას გამოხატავს. ინოვაციის ეს პროცესი ხორციელდება ნოვაციის, ნოვატორობის შედეგის ან სიახლის ყიდვა-გაყიდვის საფუძველზე, რომლის მიზანიცაა ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის ან მომსახურების შექმნა.

ინოვაციაა ნოვაციის შეძენა და მისი დანერგვა ან საკუთარი სიახლის შემოღება, რის შედეგიცაა ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტები და მომსახურება. სიახლეთა დანერგვა (ახალშემონაღები) და ბაზარზე ინოვაციური საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია შეადგენს ინოვატორობის შინაარსს. აქედან გამომდინარე, ნოვაციასა და ნოვატორობას უშუალო კავშირი არა აქვთ ბაზართან, მაშინ, როდესაც ინოვაცია და ინოვატორობა საბაზრო ურთიერთობებითაა განპირობებული.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დასავლელი მეცნიერები ინოვაციური განვითარების 5 სტადიას გამოყოფენ:

1. იდეის ჩასახვა;
2. იდეის გამოტანა;

3. იდეის ჩვენება;
4. პროდუქტის გამოტანა;
5. ბაზარზე დამკვიდრება.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან პირველი სამი სტადია ნოვატორობის განვითარების ეტაპს ეკუთვნის და ისინი მთლიანობაში ინოვაციების სასიცოცხლო ციკლის პირველ დონეს ახასიათებენ.

ინოვაციის არსი გამოხატავს საზოგადოებრივ მეურნეობაში სიახლეთა შემოღებასთან დაკავშირებულ იმ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებსაც რესურსების შეზღუდულობა და კვლავწარმოების (ინდივიდუალურისა და საზოგადოებრივის) მასშტაბების გაფართოება განაპირობებს. ეს ურთიერთობები ბაზრისა და კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს და საზოგადოების შემოსავლისა და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონის ამაღლებას ემსახურება.

ინოვაცია განსაზღვრავს ბიზნესის განვითარების მიმართულებებს, რადგან გავლენას ახდენს წარმოების მასშტაბებისა და სტრუქტურის, აგრეთვე, საქმიანობის სახის ფორმირებაზე. იგი ცვლის და გარდაქმნის ჯერ ბიზნესის, შემდეგ კი მთელი ქვეყნისა და ქვეყნების ეკონომიკისა და მთელი მსოფლიო მეურნეობის შინაარსს. ინოვაცია და ბიზნესი უშუალო კავშირში არიან ინდივიდუალური კვლავწარმოების არსობრივ ურთიერთობებთან, სადაც ბიზნესი ამ ურთიერთობათა გამოვლენის უშუალო ფორმად გვევლინება.

ბიზნესიც რესურსების შეზღუდულობის და საზოგადოებრივი მეურნეობრიობის გაფართოების პირობებში ფუნქციონირებს, რაც ინდივიდუალურ კვლავწარმოებასა და კონკურენციას განაპირობებს. ამიტომ ბიზნესის არსს გამოხატავს ინდივიდუალური კვლავწარმოების ეკონომიკური ურთიერთობები, რაც საქმის ორგანიზებისა და შემოსავლის მიღების მეშვეობით ხორციელდება ბაზრის კონკურენტულ გარემოში.

საქართველოს როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთი ქვეყნის პირობებში საინტერესოა ბიზნესის ცნების შეპირისპირება სამეურნეო ანგარიშთან. ორივე მათგანი ინდივიდუალური კვლავწარმოების არსობრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, ოღონდ ბიზნესის შინაარსში დაფარულია ან საერთოდ არ არსებობს დაქირავებულ მუშაკთა ინდივიდუალური კვლავწარმოების ურთიერთობები. ამიტომაც ამ ცნებათა მნიშვნელოვნებას თანმიმდევრობით თუ დავალაგებთ, ბიზნესი სამეურნეო ანგარიშის გამოვლენის ფორმად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ზოგადის მიმართება კერძოსთან.

ზოგჯერ ბიზნესს მეწარმეობასთან აიგივებენ. ფიქრობენ, რომ მათ შორის ტოლობის ნიშანიც შეგვიძლია დავსვათ, რადგან ბიზნესი მხოლოდ და მხოლოდ მეწარმეობის უცხოური შესატყვისია. არადა, ტერმინი „მეწარმე" პირველად რ. კონტილიონის ნაშრომებში გვხვდება XVIII ს.-ში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მეწარმე როგორც ინიციატივიანი კაცი თვითონ იქმნის სამუშაო ადგილს, იღვწის რისკისა და გაურკვევლობის პირობებში და ბაზრის კანონების შესაბამისად მოქმედებს. თეორიული ანალიზი შესაძლებელს ხდის ნათლად გამოვკვეთოთ ბიზნესისა და მეწარმეობის ცნებათა არსი და ერთმანეთისაგან მკვეთრად გავმიჯნოთ ისინი, თუმცა, პრაქტიკაში ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია. კერძოდ:

- მეწარმეობა ინიციატივიანი, შემოქმედებითი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია ახალი საქონლისა და მომსახურების წარმოების ან უკვე არსებულის არსებითი გაუმჯობესებისა და რეალიზაციისაკენ. ი. შუმპეტერის აზრით, „იყო მეწარმე, ნიშნავს აკეთო არა ის, რასაც სხვები აკეთებენ... და არა ისე, როგორც სხვები აკეთებენ". მისივე შეხედულებით: „მეწარმე არის შემოქმედი მნგრეველი, რომელიც ამსხვრევს არსებულ ძველ წესებს, მაგრამ, ამავდროულად, ქმნის ახალს". იგი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფს ეკონომიკას და ამით ეკონომიკას საზოგადოებისაკენ შემოატრიალებს. მაშასადამე, მეწარმეობის ცნება ასოცირდება ახალი პროდუქციის, ახალი ტექნოლოგიის, ბიზნესის ორგანიზების ახალი ფორმების და მეთოდების და ახალი ბიზნესის შექმნასთან, ე.ი. მეწარმეობა ინოვაციური, შემოქმედებითი საქმიანობაა. სწორედ ამით განსხვავდება იგი ჩვეულებრივი ბიზნესისაგან, რომლის ქვეშაც მოიაზრება მოგების მიღების მიზნით რუტინული, ერთგვაროვანი საქმიანობა. მაგალითად, პიროვნების მიერ მარჯანიშვილის მოედანზე კიდევ ერთი ჯიხურის ჩადგმა ალკოჰოლური სასმელების ან სიგარეტის რეალიზაციის მიზნით არის ბიზნესი, მაგრამ არა მეწარმეობა, ხოლო ცნობილი ქართველი ბიზნესმენის, გ. თოფაძის მიერ ერთვნული ბაზრიდან დაბალხარისხიანი თურქული და ბულგარული ლუდის განდევნა და გაუმჯობესებული ქართული ლუდისათვის ახალი ბაზრის შექმნა - მეწარმეობაა.

ამგვარად, მეწარმეობა ინოვაციური და, მაშასადამე, უფრო სარისკო საქმიანობაა ვიდრე ბიზნესი, რომელსაც უპირატესად რუტინული, შაბლონური, ერთგვაროვანი ხასიათი აქვს.

- ბიზნესმენისაგან განსხვავებით, რომელიც საკუთარი ფირმისათვის ქირაობს სპეციალისტებს, მათ შორის მენეჯერებსაც ფირმის პრეზიდენტის ჩათვლით, მეწარმე თვითონ წარმართავს საკუთარ საქმეს (ე.ი. ასრულებს მენეჯერის ფუნქციებს), რამდენადაც არის მისი უშუ-

ალო შემოქმედი (ფირმის მიზნების ჩამოყალიბება, მათი მიღწევის საშუალებების განსაზღვრა და ა.შ) და ავტორი.

ამგვარად, ბიზნესმენმა საკუთარი საქმე შეიძლება სხვას გადასცეს სამართავად, გადაუხადოს მათ ხელფასი და თვითონ მიიღოს მოგება, მეწარმე კი თავად წარმართავს საკუთარ საქმეს;

➢ ბიზნესი შეიძლება იყოს ნებისმიერი ერთჯერადი კომერციული გარიგებაც, მაშინ, როდესაც მეწარმეობა არაერთჯერადი, სისტემატური საქმიანობაა;

➢ მეწარმეობისაგან განსხვავებით, ბიზნესი შეიძლება განახორციელოს პასიურმა მესაკუთრემაც, კერძოდ, იჯარით გასცეს ქონება, დროებით თავისუფალი სახსრები დააბანდოს ანაბრებში, აქციებში და მათზე შემოსავლების პასიური ფორმებით (საიჯარო გადასახადი, სარგებელი, დივიდენდი) შემოიფარგლოს;

➢ ბიზნესისაგან განსხვავებით, მეწარმეობის როგორც ინოვაციური და შედარებით სარისკო საქმიანობის მიზანია არა უბრალოდ მოგების, არამედ წმინდა ეკონომიკური მოგების მიღება და მეწარმის როგორც პიროვნების იდეის რეალიზაცია, მისი თვითდამკვიდრება, თვითგანახლება და თვითგანვითარება. ამ შემთხვევაში სოციალური მხარე (საზოგადოებრივი აღიარება) წამყვან როლს თამაშობს, ხოლო წმინდა ეკონომიკური მომენტი (მოგება) მასზე დაქვემდებარებულია.

ამგვარად, მეწარმეობა ნოვატორული და შედარებით სარისკო ბიზნესია. მეწარმეობა ბიზნესის სხვა დანარჩენი რუტინული, გაცვეთილი ფორმებისაგან გამოირჩევა მუდმივად ახლის ძიებით, შემოქმედებითობით და ძლიერი სოციალური მოტივებით. ყველა მეწარმეობა ბიზნესია, მაგრამ ყველა ბიზნესი როდია მეწარმეობა. ასევე, ყველა მეწარმე ბიზნესმენია, მაგრამ ყველა ბიზნესმენი მეწარმე არ არის. ე.ი. ცნება „მეწარმეობა" შინაარსით უფრო ფართოა, ვიდრე „ბიზნესი", რადგანაც მეწარმეობა თავისი არსით ბიზნესიც არის და კიდევ სხვა რამ - შემოქმედებითი ბიზნესიც. რაოდენობრივი, მოცულობითი თვალსაზრისით კი, პირიქით, - ბიზნესი უფრო მეტია, ვიდრე მეწარმეობა, რადგანაც რუტინულიც და შემოქმედებითი ბიზნესიც ორივე ბიზნესია. ასევე, ბიზნესმენები უფრო მეტნი არიან, ვიდრე მეწარმენი, რადგანაც რუტინი ბიზნესმენებიც და შემოქმედებითი მეწარმენიც ორივენი ბიზნესმენები არიან.

ი. შუმპეტერმა ამ მოვლენის არსი ინოვაციას დაუკავშირა. მისი აზრით, მეწარმეობის ფუნქციაა წარმოების რეფორმირება ან რევოლუციურად შეცვლა, რომლის დროსაც ახალი საქონლის საწარმოებლად ან ახალი ხერხით ძველი საქონლის დასამზადებლად უნდა ვიყენებდეთ გამოგონებებს, უფრო ფართო გაგებით კი - ახალ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, ვაგნებდეთ ნედლეულისა და მასალების ახალ წყაროებს ან ახალ ბაზრებს, ვახდენდეთ დარგის რეორგანიზებას და ა.შ.

სხვადასხვა ავტორის მიერ განმარტებულ „მეწარმის" ცნებებს ერთმანეთს თუ შევადარებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი შინაარსის მთავარი მახასიათებელია სიახლეების შემოღება-დანერგვა, საქმიანობის თავისუფლად შერჩევა იმ პირის მიერ, რომელიც ერთსა და იმავე დროს მესაკუთრეცაა და მმართველიც. ამიტომ მეწარმეობას არსებობა შეუძლია მხოლოდ მცირე და, უფრო იშვიათად, საშუალო ბიზნესის მასშტაბით. რაც შეეხება მსხვილ ბიზნესს, აქ მეწარმეობას წინ ეღობება კორპორატიული აზროვნება და საქმიანობა, სადაც მესაკუთრისა და მმართველთა ფუნქციები გამიჯნულია და მოცემული ორგანიზაციის ფარგლებში ინდივიდის თავისუფლებაც შეზღუდულია.[1]

გამოდის, რომ მეწარმეობის არსს გამოხატავენ მცირე და საშუალო ბიზნესის მასშტაბით მოწყობილი ინდივიდუალური კვლავწარმოების ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ინოვაციური საქმიანობის რეალიზებას უწყობენ ხელს. მას განაპირობებს იმ მეურნე სუბიექტის თავისუფალი არჩევანი, რომელიც თავის თავში აერთიანებს მესაკუთრესა და ხელმძღვანელს; იგი ფუნქციონირებს კონკურენტულ გარემოში და ახალ საქონელსა და მომსახურებას აწვდის ბაზარს მოგების მიღების მიზნით.

მეწარმეობას თავისი გამოვლინების ფორმები აქვს:

1. შუამავლობა და
2. ინოვატორობა

საქონლის მიმოქცევისა და მომსახურების სფეროებში მოღვაწე მცირე და საშუალო ფირმების მეწარმეობა ძირითადად წარმოგვიდგება მწარმოებლებსა და საბოლოო მომხმარებლებს შორის შუამავლობად.

ინოვატორობა მიეკუთვნება წარმოების ფაქტორების ახალ-ახალი კომბინაციების შემოღებას და ახალი საქონლისა და მომსახურების წარმოებაში, მართვასა და რეალიზაციაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ბაზრის პირობებში. მისი მიზანი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. გასული საუკუ-

[1] **უ. სამადაშვილი,** ბიზნესის საფუძვლები. „უნივერსალი". თბ., 2009. გვ. 30-32.

ნის 80-იანი წლების დასაწყისში სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა ახალი ცნება „ინტრაპრენიორობა", რომელსაც შიდასაფირმო მეწარმეობის დახასიათებისათვის იყენებდნენ. მას უკავშირებდნენ ამერიკაში მრავალი მსხვილი საწარმოო სტრუქტურის გადასვლას წარმოების ორგანიზების სამეწარმეო ფორმაზე. ინტრაპრენიორობის მიზანს შეადგენს წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ისეთი ფაქტორების ხარჯზე, როგორიცაა:

- თანამშრომელთა შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურება და გამოყენება;
- საწარმოს რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება;
- ბაზრის მოთხოვნილებების ცვლილებებზე სწრაფად რეაგირება;
- ტექნიკური, ორგანიზაციული და ნებისმიერი სხვა სიახლის რეალიზების დაჩქარება;
- წარმოების შემდგომი განვითარებისთვის პირობების მომზადება.

მსხვილი ბიზნესის სტრუქტურებიდან იმ მცირე ფირმების დამოუკიდებელ ორგანიზაციებად ამგვარი გამოყოფა, რომლებიც კლასტერული პრინციპით მოქმედებენ, ორგანიზების სამეწარმეო ფორმას შეგვიძლია მივაკუთვნოთ. მაგრამ ეს არის კლასტერული და არა შიდასაფირმო მეწარმეობა. რაც შეეხება მსხვილი ბიზნესის შიგნით ფუნქციონირებას, ეს შეიძლება იყოს შიდა სამეურნეო ანგარიში. იგი მოიცავს კორპორაციის როგორც ცალკეული შიდა სტრუქტურების, ისე ცალკეულ მუშაკთა ინდივიდუალური კვლავწარმოების ურთიერთობებს ორგანიზაციის წესების ფარგლებში და არა ერთ პიროვნებაში გაერთიანებული მეპატრონისა და მეწარმის მოქმედების თავისუფლებას. მეწარმეობის განვითარება წარმოშობს მსხვილ და ინოვაციურ ბიზნესს, რომელიც წვრილი და საშუალო ბიზნესის საპირისპიროა. მსხვილი ბიზნესი ხელს უწყობს საზოგადოებრივი მეურნეობრიობის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესს და ამ პროცესის გამოვლენის ფორმაა, ამასთან, პირობებს უმზადებს ეკონომიკის სოციალიზაციას.

პოსტინდუსტრიული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის სოციალიზაცია ხდება არა მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობრიობის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის მეშვეობით, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის პირობების შექმნის გზით, რომელთა მობილურობა ინოვაციური და სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას ხდის შესაძლებელს. როგორც ჩანს, აქ უნდა ვისაუბროთ, ერთი მხრივ, მსხვილი, ხოლო, მეორე მხრივ, წვრილი და საშუალო ბიზნესის თანაფარობის ოპტიმიზაციაზე ეკონომიკის სოციალიზაციის განვითარების მიმართულებით და არა წვრილი და საშუალო ბიზნესის ფუნქციების უარყოფაზე. მსხვილ ბიზნესთან მათი თანამშრომლობის დიალექტიკა კი არ უნდა უარვყოთ, არამედ მუდმივად უნდა ვესწრაფოდეთ მათი ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევას პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონისა და პირობების შესაბამისად.

ინოვაცია მსხვილ ბიზნესშიც ვითარდება, სადაც ადგილი არ რჩება მეწარმეობას. ამიტომ კორექტული არაა ის მოსაზრებები, თითქოს ბიზნესი საქონლისა და მომსახურების წარმოების, ორგანიზაციის, განაწილებისა თუ რეალიზაციის სფეროებში წარმართული საქმიანობაა ნოვატორობის ან ინოვაციური პროცესების განვითარებაში ინიციატივების გამოჩენის გარეშე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნესისა და მეწარმეობის განმარტებებში არსებულ უზუსტობებს იწვევს ამ კატეგორიების აღმწერი და მახასიათებელი ძირითადი ელემენტების უქონლობა მათ შინაარსში.

ინოვაციები გავლენას ახდენს არა მარტო მსხვილი ბიზნესის ფორმირებაზე, არამედ ეროვნულ და მთელ მსოფლიო ეკონომიკაზეც. ვითარდება ინოვაციური ინფრასტრუქტურები, ტექნოლოგიური პარკები და ბიზნეს-ინკუბატორები, სპეციალიზებული ინოვაციური ვენჩურული ფონდები და ა.შ. ისინი უშუალოდ მოქმედებენ ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე.

ინოვაციური პროცესი ციკლურად ვითარდება. სადაც ერთი სახეობის ინოვაციები ციკლს დაასრულებენ, სხვებს უთმობენ ადგილს და ხელს უწყობენ მთლიანად ეკონომიკური ციკლის განვითარებას. ყოველ ინოვაციურ ციკლს ახალ და ახალ დონეზე აჰყავს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარება, რაც სასიკეთოდ მოქმედებს ინოვაციური პროცესების ინტენსიფიკაციაზე. ამ პროცესების დიალექტიკა ჯერ ინოვაციური, საბოლოოდ კი სოციალური ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებას განაპირობებს.[2]

ამგვარად, წვრილ, საშუალო თუ მსხვილ ბიზნესში ინოვაციის განვითარება ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებას განაპირობებს, რასაც ეკონომიკის სოციალიზაციის პირობების შექმნა მოსდევს შედეგად.

[2] **უ. სამადაშვილი,** ბიზნესის საფუძვლები. „უნივერსალი". თბ., 2009. გვ. 30-32.

EFFECT OF INNOVATIONS ON BUSINESS AND SOCIAL ECONOMICS

ANZOR ABRALAVA - Full professor of GTU

Innovation determines the directions of business trends as it has an impact on the scale and structure of production as well as on the formation of business type. It transforms the structure of business and accordingly national and world economies. Innovation and business are directly linked to individual interconnections in the process of production where business is the form of expressing such kind of relations.

Practice of postindustrial countries have shown that the socialization of economics is implemented not only through the concentration and centralization of social economics but through creating the conditions for small and medium businesses, mobility of which in its turn enables to solve innovational and other social economic problems.

As it seems we have to focus on the optimization of equity between large business on the one hand and small and medium business on the other, aimed at developing economic socialization and not rejecting the functions of small and medium business.

We shouldn't ignore the dialectics of their cooperation with large business, but permanently strive to achieve their optimal equity in accordance with the level and conditions of social economic development. Innovation process has interchangeable character, when one innovation is changed by the others and serves to economic development in general. Each innovative stage contributes to economic and social development and is beneficial for the intensification of innovative processes. The dialectics of the processes determines the formation and development of innovative and social economy.

Innovative development in small, medium and large businesses results in the innovative economic formation followed by creating terms of economic socialization.

ВЛИЯНИЕ ИННОВАЦИЙ НА БИЗНЕС И СОЦИАЛЬНУЮ ЭКОНОМИКУ

АНЗОР АБРАЛАВА - профессор ГТУ

Инновация предопределяет направления развития бизнеса: воздействует на формирование масштабов и структуры производства, вида деятельности. Она изменяет и преобразует содержание бизнеса, а в дальнейшем и экономики страны и мирового хозяйствования. Инновация и бизнес непосредственно связаны с сущностными отношениями индивидуального воспроизводства, где бизнес является непосредственной формой проявления данных отношений.

Практика постиндустриальных стран показывает,что социализация экономики происходит не только посредством концентрации и централизации общественного хозяйствования,но и предоставления условий для мелкого и среднего бизнеса,мобильность которых позволяют оперативно решать инновационные и другие социально-экономические проблемы. Видимо,здесь нужно говорить об оптимизации соотношения крупного и среднего,мелкого бизнеса в направлении развитии социализации экономики,а не отказ от функций мелких и средних фирм. Эту диалектику взаимодействия мелкого,среднего и крупного бизнеса, как противоположностей в единстве, нельзя отрицать, но нужно постоянно находить их оптимальное соотношение в соответствии уровням и условиям прогрессивного социально-экономического развития.

Инновационный процесс также развивается циклично, где одни виды инноваций, при завершении цикла,уступают другим видам и способствуют развитию экономического цикла. Каждый инновационный цикл поднимал на новый уровень развития экономики и общества,что воздействовало на интенсификацию инновационных процессов. Диалектика таких процессов обусловливает формирования и развитие инновационной экономики,и далее социальную экономику.

Таким образом,развитие инновации в крупном и мелком, ა также среднем бизнесе обуславливает формирование инновационной экономики,что в последствии создает условия социализации экономики.